წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 6

ქ. წალკა; **29.05.2026 წ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა – ი. გიგინეიშვილი;

საკრებულოს 45 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 43 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ჯაბა აბულაძე, რადიკ სარკისიან, ჯემალი ბერიძე, ნუგზარი ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ანტარამ მელტონიან, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, დავით კვარაცხელია, ლაერტ ტოროსიან, დიმიტრი ვახტანგიშვილი, ალექსეი მუხსიევი, იდა ბალაბანოვა, ზვიად ვანაძე, ემილ ხაჩატურიან, ლერიკ დელიანოვ, უშანგი ბოლქვაძე, რუბენ ანესიან, სარკის ოგანესიან, სარკის გინოსიან, ხაჩატურ მაზმანიან, მარინე ირემაძე, ბადრი ხოზრევანიძე, გრიშა რანიან, ვახტანგი შავაძე, გენად ბოლქვაძე, მამუკა გელაძე, ზვიადი ხორგუანი, ჯემალ დეკანაძე, გიორგი ვაშაყმაძე, როლანდ კახაძე, ფაიგ დანაჩიევი, გია ვაშაყმაძე, რამაზი ხინიკაძე, გია მარკოიძე, ტატევოს ტოროსიან, მარადი კახაძე, ლერი ფირცხელიანი, ედუარდ სტეპანიანი, ალექსანდრე შავაძე, რამინ ალახვერდოვი, ჯუმბერ მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე.**

სხდომა დაიწყო: 11 00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 მარტის №გ-119.11926090001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2026 წლის მაისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: საკრებულომ ღია კენჭისყრით (43 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 მარტის №გ-119.11926090001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";
/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე-წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;/
თანამომხსენებელი: ჯემალი ბერიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარი ჩამურლიევი-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, უშანგი ბოლქვაძე- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ბადრი ხოზრევანიძე-ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე/;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2026 წლის მაისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.
/მომხსენებელი: ჯემალი ბერიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 მარტის №გ-119.11926090001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";
/მომხსენებელმა: ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი.
/თანამომხსენებლებმა: ჯემალი ბერიძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ნუგზარი ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, უშანგი ბოლქვაძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დასკვნა განკარგულების პროექტზე, ბადრი ხოზრევანიძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ხალხის ძალის“ დასკვნა განკარგულების პროექტზე.
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (43 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება №119.11926149001 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2026 წლის მაისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.
/მომხსენებელმა: ჯემალი ბერიძემ- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი.
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (43 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება №გ-119. 119261492 თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარე ი. გიგინეიშვილი **ი.გიგინეიშვილი**